სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი თანამონაწილენი არიან სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნაში. შვიდწლიანი და ერთწლიანი გეგმების შემუშავების წინ სკოლის დირექტორის მიერ გამოყოფილია სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უზრუნველყო სასკოლო საზოგადოების ჩართულობას აღნიშნულ პროცედურებში. სკოლამ ახალი სასწავლო წლისათვის სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანის სამოქმედო გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა და სკოლის შინაგანაწესი.

სკოლა, სადამრიგებლო პროგრამების რეალიზების მიზნით, აკეთებს სადამრიგებლო პროგრამების ანალიზს. კლასის დამრიგებლების მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი იქნა სადამრიგებლო პროგრამები, სადაც მოცემულია კლასის სამოქმედო გეგმა კლასის ინტერესების მიხედვით დაგეგმილი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში გამოკვეთილია თვითმმართველობის აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. სკოლის პედაგოგიური საბჭო შეიმუშავებს სკოლის სამუშაო გეგმას და უზრუნველყოფს პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმის შესრულებას და გაწეული საქმიანობის მონიტორინგს.

ა. ზორაძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამუაშვილი

ა. პაპუაშვილი

ი. ჯიშკაძე

მ. ჯიშკაძე

ა. ჯიშკაძე

ი. ჯიშკაძე

ქ. ჯიშკაძე

ი. ჯიშკაძე



სკოლას შექმნილი ყავს ხარისხის განვითარების ჯგუფი მასწავლებლის შიდა შეფასებისა და მისი პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით.

ინდიკატორი 1.2.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი გასული წლის სამოქმედო გეგმის და მისი ანგარიშის საფუძველზე და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრების გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროობის უზრუნველყოფის პრაქტიკა სკოლას აქვს. მისიის, ხედვის, ღირებულების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაშიც განსაზღვრულია ეს პროცედურები და ეს პრაქტიკა გათვალისწინებული იქნება ახალი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფისთვის.

სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს განმარტა, რომ სკოლა ვებ გვერდზე განათავსებს 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების შესახებ ინფორმაციას. ასევე დირექტორმა აღნიშნა, რომ 2024-2025 სასწავლო წლის დასასრულს სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო მოისმენს დირექტორის ანგარიშს აღნიშნულთან დაკავშირებით, რომლის პრაქტიკა აქვს. სკოლა აქვს წარმატებების გასაჯაროების გამოცდილება, რომელიც განთავსებული აქვს სკოლის ფეისბუქ გვერდზე.

ინდიკატორი 1.2.2.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამუაშვილი

ა. პოლომუძე

ი. ჯიშკაძე

მ. ჯიშკაძე

ა. მამუაშვილი

ი. აგოიძე

ქ. ყიფიძე

გ. მამუაშვილი



4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი

განვითარებისთვის

სსიპ - ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლა ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აკეთებს სასკოლო სასწავლო გეგმის შედეგების ანალიზს და შეფასებას, წარმატებული სასწავლო პრაქტიკა განსაზღვრავდა მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის საფუძველს, სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაშიც განსაზღვრულია აღნიშნული საკითხი. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა და გამოცდილება, მარტივად შეძლოს შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის დანერგვა და შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

შესაბამისად, ინდიკატორი 1.2.2.4 სრულად არის დაკმაყოფილებული და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დამტკიცებულია 04.07.2024 წ. ბრძანება N2/15.
2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის განვითარების მეთოდოლოგიის სამუშაო ჯგუფი ბრძანება N2/9.
3. პედაგოგიური საბჭოს დებულება, დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ N2 ოქმით 06.09.2023 წელი.
4. მოსწავლეთა თვითმართვებლობის დებულება.
5. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაეჭერის ჯგუფის ბრძანება N2/33.
6. ვიზიტის დროს დირექტორთან ინტერვიუ.
7. სამეურვეო საბჭოს სხდომის N5 ოქმი 02.12.2023 წელი.

ა. ბილაშვილი

ა. ხახუნდერის

ნ. შაინიძე

ი. მამუკაძე

ა. ბილაშვილი

ი. ბილაშვილი

მ. ბილაშვილი

ა. ბილაშვილი

ი. ბილაშვილი

ქ. ბილაშვილი

ი. ბილაშვილი



შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, რომელიც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

ა. ზოიძე ა. ხახუნდერაძე ნ. შაინიძე ი. მამულაძე ა. პაპიშვილი

ი. ზოიძე მ. ლომიძე ა. მამულაძე ი. აგოიძე ქ. ყიფიძე



2024-2025 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ვიზიტის დროს სკოლას ჰყავდა 21

თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 15 პედაგოგი, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი:

დირექტორი, დირექტორის მოადგილე 1, ბუღალტერი 1, საქმისმწარმოებელი 1, 1 ბიბლიოთეკარი, 1 მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი და ცეცხლფარეში 1.

სკოლაში შექმნილია პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინარული კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფი. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების დებულებები სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ფუნქციები.

აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები/პირები შერჩეულია და მათი ფუნქცია/ მოვალეობები განსაზღვრულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სკოლამ, ასევე სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრის დადასტურებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, მრჩეველთა საბჭოს, თვითმმართველობისა და დისციპლინარული კომიტეტების ოქმები.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსთან“ შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სკოლაში დასაქმებული პირის უფლება-მოვალეობები.

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამუაშვილი

ა. პოლომბიძე

ი. ჯიშკაძე

მ. ჯიშკაძე

ა. მამუაშვილი

ი. აგოშინაძე

ქ. ყიფიანი

გ. მამუაშვილი



ა. ბერიძე ა. ლხიშვილი ნ. მამუკაძე ვ. პეტრიაშვილი
ნ. შანიძე ი. გვარამია ი. ავალიაძე ქ. ყიფიანაძე



პასუხისმგებლობა.

სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების თითოეულმა წევრმა იცის საკუთარი ფუნქცია და

ინდიკატორი 3.1.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული და შეესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პედაგოგიური საბჭოს დებულება, დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ N2 ოქმით 06.09.2023 წელი.
2. მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება.
3. კათედრების დებულება დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2/55, 06.09.2023 წელი.
4. დირექტორის 06.09.2023 წლის ბრძანება N2/55 კათედრის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ.
5. დირექტორის 14.12.2023 ბრძანება N2/91 მრჩეველთა სბჭოს შექმნის შესახებ .
6. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაეჭერის ჯგუფის ბრძანება N2/33.
7. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით №/38, 11.09. 2024
8. სამეურვეო საბჭოს სხდომის N5 ოქმი 02.12.2023 წელი.
9. დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1 20.10.2023წ.
10. მასწავლებლის, საქმისწარმოების და დამლაგებლის ხელშეკრულებები.
11. საშტატო განრიგი
12. . ბიბლიოთეკის დებულება, დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით № 2/10 26.06.2024 წელი.
13. დამრიგებლის დებულება.
14. სკოლის შინაგანაწესი, დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N1.01.09.2023 წელი.

ა. ზორაძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამულაძე

ა. პილაძე

ი. გიგინეიძე

მ. კახიძე

ა. მამულაძე

ი. აგოშინაძე

ქ. ყიფიძე

ი. მამულაძე



3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ა. ზოიძე ა. ხახუნდერელი ნ. შაინიძე ი. მამუკაძე ა. პოლომუძე
ი. ზოიძე მ. ზოიძე ა. მამუკაძე ი. აგოშვილი ქ. ყიფიანი



წარმოდგენილი დოკუმენტაციის და დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლა ახდენს ადამიანი

რესურსების საჭიროების ანალიზს, ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანებით. საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებგვერდზე Teacherjobs.Ge. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის დასაქმებულზე ან დროებით მოწვეულ პირზე. ეს პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად ბრძანებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

სკოლა მაქსიმალურად ზრუნავს და ცდილობს სასწავლო პროცესის ხარისხიანი წარმართვისთვის მოიზიდოს და შეარჩიოს კვალიფიკაციური კადრები. სკოლას ყავს ასწავლე საქართველოსთვის პროგრამის ფარგლებში ჩართული ინგლისური ენის მასწავლებელი. ასევე ხელშეკრულებით აიყვანა ქართული ენისა და ლიტერატურის ახალგაზრდა ადგილობრივი კადრი, რომელმაც საგნობრივი კონპეტენცია დაადასტურა 2023 წელს. დირექტორი ვიზიტის დროს დაუკავშირდა მასწავლებელთა სახლს და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მაძიებელ მასწავლებლად დაარეგისტრირა.

სკოლამ აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოადგინა კონკურსის გამოცხადების ბრძანებები, ოქმები, სკოლის შინაგანაწესი, პედაგოგიური საბჭოს დებულება, დამრიგებლის დებულება, კათედრების დებულება, ბიბლიოთეკის დებულება, სადაც განსაზღვრულია სკოლის პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება პერსონალის მართვის პროცესები.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში საქმიანობას და მხარდაჭერას.

მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსთან“

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამუაშვილი

ა. პოლომბიძე

ი. ჯიშკაძე

მ. ჯიშკაძე

ა. ჯიშკაძე

ი. ჯიშკაძე

ქ. ჯიშკაძე

ი. ჯიშკაძე



შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებულია შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი 3.1.2.1 სრულად არის დაკმაყოფილებული და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლაში დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, სადაც გაწერილია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის რეგულაციები, წახალისება და დასჯა გადაცდომებზე. თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებები, მასში მოცემულია მასწავლებლის უფლება მოვალეობები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და დირექციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლა ახდენს ადამიანი რესურსების საჭიროების ანალიზს, რაც განსაკუთრებით გამოწვეულია კადრების გადინებით ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად ცხადდება კონკურსი. დასაქმებულის არყოფნის კონკურსით კადრის ვერ შერჩევის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა

ა. ბილაშვილი

ა. ხახუნდერის

ნ. შაინიძე

ი. მამულაძე

ა. ბილაშვილი

ი. ბილაშვილი

მ. ბილაშვილი

ა. ბილაშვილი

ი. ბილაშვილი

ქ. ბილაშვილი

ი. ბილაშვილი



უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.2.2 სრულად არის დაკმაყოფილებული და შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლის პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას

2. ბაქრაძე 3. ბახტაძე 4. ბერიძე 5. ბერიძე 6. ბერიძე 7. ბერიძე 8. ბერიძე 9. ბერიძე 10. ბერიძე



ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი

ხელშეკრულებები, პირად საქმეებში ინახება ყველა სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც ადასტურების პირის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. სკოლის დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევა ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალების დაცვით. კერძოდ, კანონმდებლობის შესაბამისად და დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით ცხადდება შიდა და ღია კონკურსი. სკოლამ დასადასტურებლად წარმოადგინა შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების ბრძანებები და ოქმები ვაკანტური ადგილის შესავსებად. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შიდა კონკურსის გამოცხადების შემდეგ შიდა კადრებით ვერ მოხდა ვაკანტური ადგილის შევსება, სკოლა ღია კონკურსის შესახებ განაცხადს აქვეყნებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, დასაქმების ვებგვერდზე – <http://teacherjobs.ge/>-ზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. აღნიშნულ საიტზე გამოქვეყნებული ვაკანსიები აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია: კონკურსის კომისიის შექმნის ბრძანება, კონკურსის კომისიის ოქმები, დანიშვნის ბრძანება და ხელშეკრულებები.

სკოლას კანონის შესაბამისად ახორციელებს კონკურსის ჩატარებას და კადრების შერჩევას.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ 2024-2025 სასწავლო წელს რამდენჯერმე გამოცხადდა ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსია, თუმცა შესაბამისი კადრი ვერ შეირჩა, აღნიშნული საათები გადაეცა ამავე სკოლის მასწავლებელს, რომელსაც არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია, თუმცა აქვს ამ საგნის სწავლების გამოცდილება, მასთან გაფორმებულია დროებითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი 3.1.2.3 არის დაკმაყოფილებული.

ა. ზოიძე
ა. ხახანაშვილი
ნ. შაინიძე
ი. მამუაშვილი
ა. პოლომბიძე
ი. აგოშვილი
ა. მამუაშვილი
ა. მამუაშვილი
ა. მამუაშვილი
ა. მამუაშვილი
ა. მამუაშვილი



4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც დამტკიცებული იყო დირექტორის ბრძანებით და პერსონალის პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანებით. საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებგვერდზე Teacherjobs.Ge, სკოლას გამოცხადებული ქონდა კონკურსი ხელოვნების მასწავლებლის პოზიაზე, თუმცა კადრი ვერ შეირჩა და სკოლა იძულებული გადბა დროებით დაენიშნა უსტატუსო მასწავლებელი. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ყველა დასაქმებულ პირთან. შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

2024-2025 სასწავლო წლისათვის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, საშტატო განრიგის შესაბამისად, ჰყავს 21 თანამშრომელი. აქედან დაწყებით, საშუალო და საბაზო საგანმანათლებლო პროგრამას, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, ახორციელებს 15 პედაგოგი. მასწავლებელთა რაოდენობა, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი:

დირექტორი, დირექტორის მოადგილე 1, ბუღალტერი 1, საქმისმწარმოებელი 1, ბიბლიოთეკარი 1, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი 1, დარაჯი 2, დამლაგებელი 2 და ცეცხლფარეში 1 (რომელსაც დირექტორი ხელშეკრულებას უფორმებს ნოემბრიდან მაისამდე).

ა. ზორაძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამულაძე

ა. პოლომბიძე

ი. გოგიაშვილი

მ. ჯიქიაშვილი

ა. მჭედია

ი. აგობიძე

ქ. ყიფიანიძე

ი. მჭედია



სკოლაში გაფორმებულია შემდეგი კატეგორიის შრომითი ხელშეკრულებები: უფროსი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება,

უსტატუსო დროებით მასწავლებელთან ვაკანსიის შევსებამდე შრომითი ხელშეკრულება, მაძიებელი მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება.

სკოლის პერსონალის პირად საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ:

1. ყველა მასწავლებელს პირად საქმეებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადება;

ბ) CV;

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი;

ე) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ცნობა ნასამართლეობის არქონის ან მოხსნის შესახებ;

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიპიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

პერსონალის დანიშვნის ბრძანებები და შრომითი ხელშეკრულებები შესაბამის ჟურნალშია გატარებული.

ვიზიტის დროს სკოლას გამოცხადებული ქონდა კონკურსი მუსიკის და ხელოვნების მასწავლებლის.

ინდიკატორი 3.1.2.4 ვიზიტის დროს სკოლას არ ყავდა ხელოვნების და მუსიკის მასწავლებელი, თუმცა წარმოდგელი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრული აქვს, რომ უზრუნველყოფს კანონმდებლობით შესაბამის მასწავლებელს, რის საფუძველზე ინდიკატორი მეტწილად არის დაკმაყოფილებული.

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამულაძე

ა. პოლომუძე

ი. ჯიშკვაძე

მ. ლომიძე

ა. მამულაძე

ი. აგოიძე

ქ. ყიფიძე

ი. მამულაძე



მასწავლებელი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და სხვა სრტუქტურული ორგანოების ოქმებით. ვიზიტის დროს გამოთხოვილ დოკუმენტების (კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები, მასწავლებლის რეფლექსიები, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშის ფორმა, უკუკავშირები) ადასტურებს, გუნდური მუშაობის პრინციპებს სკოლაში.

სკოლის პერსონალთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ ისინი ჩართულნი არიან და მონაწილეობენ სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და პრობლემების მოგვარებაში. კათედრის ფარგლებში და კათედრებს შორის არის ეფექტური თანამშრომლობა. სკოლის თანამშრომლები ჩართული არიან თანამშრომელთა შერჩევის პროცედურებშიც. საკონკურსო კომისიაში, კომისიის წევრებად ჩართული არიან სკოლის მასწავლებლები.

სკოლის პედაგოგები ინტერვიუების დროს საუბრობდნენ ურთიერთთანამშრომლობით წარმართულ კათედრის სხდომებზე, ურთიერთ დასწრებებზე, განხორციელებულ პროექტებზე და ა.შ.

ა. ზოიძე

ა. ხახუნდერელი

ნ. შაინიძე

ი. მამულაძე

ა. პოლომუძე

ი. ჯიშკაძე

მ. ჯიშკაძე

ა. ჯიშკაძე

ი. ჯიშკაძე

ქ. ჯიშკაძე

ი. ჯიშკაძე



ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებს ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, შეუძლიათ დამოუკიდებლად მოქმედება, გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება. მონაწილეობით ორგანიზაციულ კულტურაზე დაყრდნობით სკოლაში ხორციელდება ეფექტური კომუნიკაცია, მოსმენა, ურთიერთპატივისცემა და უკუკავშირი.

ინდიკატორი 3.1.2.5 სრულად არის დაკმაყოფილებული და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების გამოცდილება.

სკოლის შინაგანაწესში თანამშრომელთა წახალისების გამჭვირვალე სისტემაა მოცემული:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ინტერვიუების დროს დირექტორმა აღნიშნა, რომ დასაქმებულის წახალისების შესახებ ინიციატივას წარადგენს სასკოლო საზოგადოება, საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო.

სკოლის დირექტორმა სკოლის წარმატებული გამოცდილების აღიარების დასადასტურებლად წარმოადგინა მასწავლებლის მადლობის ბარათები, რომლებსაც ჰქონდათ წარმატებები კონკურსებში და ოლიმპიადებში.

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მთაწარი

ა. პოლომუძე

ი. ჯიშკაძე

მ. ჯიშკაძე

ა. მთაწარი

ი. ჯიშკაძე

ქ. ჯიშკაძე

ი. ჯიშკაძე



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სკოლის დირექტორსაც აქვს მიღებული სიგელი როგორც სკოლის განვითარებაში
შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის

პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და
გაზიარების მიზნით იყენებს სკოლის საინფორმაციო დაფას, სკოლის ვებ გვერდს და სკოლის ფეისბუქ გვერდს.

ინდიკატორი 3.1.2.6 სრულად არის დაკმაყოფილებული და შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. პედაგოგიური საბჭოს დებულება, დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ N2 ოქმით 06.09.2023 წელი.
2. მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება.
3. კათედრების დებულება დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2/55, 06.09.2023 წელი.
4. დირექტორის 06.09.2023 წლის ბრძანება N2/55 კათედრის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ.
5. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება N2/33.
6. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით Nე/38, 11.09. 2024 (ვიზიტის დროს წარმოადგინა).
7. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
8. ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი.
9. კოლეგებთან სამუშაო შეხვედრები.
10. მასწავლებლის რეფლექსიები.
11. მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშის ფორმა.
12. მასწავლებელთა უკუკავშირები.

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამულაძე

ა. პოლომუძე

ი. ჯიშკაძე

მ. ჯიშკაძე

ა. მამულაძე

ი. აგოშინაძე

ქ. ყიფიძე

ი. მამულაძე



13. პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებლის შეფასების ჯგუფის სხდომის ოქმი N18

14. ვიზიტის დროს წარმოდგენილი მასწავლებლის მადლობის ბარათები.

15. დირექტორის მადლობის სიგელი.

16. დამლაგებელის შრომითი ხელშეკრულება.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; (შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამუკაძე

ა. პალაშვილი

ი. გოგიაშვილი

მ. ლომიძე

ა. მამუკაძე

ი. აგოშვილი

ქ. ყიფიანი

ი. მამუკაძე



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმების მტკიცებულება სკოლამ წარმოადგინა სკოლაში შექმნილი მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და მათი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება.

პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა მხარდაჭერი მექანიზმები ასევე ასახულია შვიდწლიან სტრატეგიულ და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში, სკოლის მიერ ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილ კათედრების ანგარიშებში, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტებში. აღნიშნულ დოკუმენტში სკოლას აქვს განსაზღვრული პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლას ყავს ბრძანებით დანიშნული ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირი, მისი ფუნქცია მოვალეობები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა რომ ხარისხის ჯგუფი პედაგოგების მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვების პროცესში (გაკვეთილებზე დასწრება) ხელმძღვანელობს წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე. პედაგოგთა შეფასებას ახორციელებს ასევე საგნობრივი კათედრები წინასწარ გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად. ხარისხის ჯგუფის წევრები, დირექცია, კათედრის წარმომადგენლები აკვირდებიან მასწავლებელთა საგაკვეთილო პროცესს, ხდება მათი პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა, შესაბამისად იძლევიან უკუკავშირს, რომელთა გათვალისწინებაც ხდება მასწავლებელთა მიერ შემდგომ მუშაობაში. სკოლამ ვიზიტის პერიოდში მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის ანგარიშები, კოლეგებთან სამუშაო

ა. ზოიძე

ა. ხახუნდერის

ნ. შაინიძე

ი. მამუკაძე

ა. ზოიძე

ი. ზოიძე

მ. ზოიძე

ა. ზოიძე

ი. ზოიძე

ქ. ზოიძე

ი. ზოიძე



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შეხვედრები, მასწავლებლის რეფლექსიები, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიშის ფორმა, მასწავლებელთა პოზიტიური უკუკავშირები, სადაც აღწერილია გაკვეთილზე დასწრებისას სიტუაციის ანალიზი. პოზიტიური უკუკავშირი, კრიტიკული უკუკავშირი და რეკომენდაციები.

ინდიკატორი 3.2.1.1 სრულად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან .

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლაში პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სკოლამ დადასტურებად ვიზიტის დროს წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის გაკვეთილებზე დასწრებისას გამოვლენილი უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების დოკუმენტები. დირექტორის ბრძანებით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც აქტიური მონაწილეა პროცესის.

სკოლაში ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ უკუკავშირების, კათედრების ანალიზებისა და მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე, იკვეთება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებები, რის შედეგადაც ხდება პერსონალის შესაბამისი განვითარების პროცესის დაგეგმვა. ადამიანური რესურსების განვითარების მიზნით მიმდინარეობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, თვითგანვითარების ხელშეწყობა, შეძენილი ცოდნის

ა. ზოიძე
ა. ხახუნდერის
ნ. შაინიძე
ი. მამაძე
ა. პაპიშვილი
ი. აგოძე
ა. მამაძე
ა. მამაძე
ა. მამაძე
ა. მამაძე
ა. მამაძე
ა. მამაძე



გამოყენების უნარის გამოვლენა, რაც გამოიხატება ურთიერთსწავლების
შეხვედრებით, დაგეგმილი და განხორციელებული პროექტებით, კათედრების

ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით.

ვიზიტის დროს სკოლა კადრების შერჩევის პროცესში იყო. სკოლას ხელშეკრულებით გააფორმა ქართული ენის და
ლიტერატურის მასწავლებელთან, რომელმაც საგნობრივი კონმპეტეცია დაადასტურა. დირექტორი ვიზიტის დროს
დაუკავშირდა მასწავლებელთა სახლს და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მაძიებელ მასწავლებლად
დაარეგისტრირა. სკოლა იცნობდა იმ პროცედურებს თუ როგორ უნდა მოხდეს ამ მასწავლებლების კვალიფიკაციის
ამაღლება. მუსიკის და ხელოვნების საათებზე გამოცხდებული აქვს ვაკანსია.

ინდიკატორი 3.2.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული და შეესაბამება სტანდარტს.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლამ
ვიზიტის დროს წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის
ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. დოკუმენტში
განსაზღვრულია სასწავლო წლის დასაწყისში, თვითშეფასების საფუძველზე საგნობრივი სასწავლო გეგმის
(კურიკულუმის) შედგენა, საგნობრივი სასწავლო გეგმის თითოეული თემის ფარგლებში სასწავლო პროცესის წარმართვა
და განხორციელებული საქმიანობის რეფლექსია (თვითშეფასება), თითოეული თემატური ერთეულის ფარგლებში
განხორციელებული თვითშეფასების/შეფასების და საგაკვეთილო დაკვირვების შედეგების ანალიზის საფუძველზე
პროფესიული საჭიროებების გამოკვეთა და საგნობრივი სასწავლო გეგმის განვითარების დინამიკის უზრუნველყოფა.
ყოველი სემესტრის ბოლოს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის განვითარებისა და პროფესიული

ა. ზოიძე
ა. ხახუნდერის
ნ. შაინიძე
ი. მამუკაძე
ა. ზოიძე
ი. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე



მხარდაჭერი ჯგუფი, პროფესიული განვითარების მიზნით განახორციელებს სემესტრის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების შედეგების განხილვას, რის საფუძველზეც აკეთებს განმავითარებელ უკუკავშირს. კათედრები ამ უკუკავშირის საფუძველზე გეგმავენ მომდევნო სემესტრში განსახორციელებელ აქტივობებს.

ვიზიტის დროს მასწავლებლების საგნობრივ ექსპერტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ესწრებიან ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, საჭიროებებიდან გამომდინარე, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ და აღიარებული ტრენინგ-კურსებს.

ვიზიტის დროს გამოთხოვილ დოკუმენტებში ვლინდება კოლეგებთან თანამშრომლობა სასკოლო კულტურის განვითარებისა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას (საგაკვეთილო პროცესს), აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს.

სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერულ წინსვლას, რაც დასტურდება ტრენინგების, სასკოლო პროექტების, რაიონული, რესპუბლიკური, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით. სკოლამ ასევე განახორციელა მასწავლებელთა წარდგენას სტატუსის ამაღლების მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროფესიული განვითარების მიზნით სკოლის მასწავლებლები ჩართულები არიან სხვადასხვა კონფერენციებში, პროექტებში და გავლილი აქვთ ტრენინგ კურსები. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით სკოლა ჩართული იყო USAID -ის საგანმანათლებლო პროგრამებში. სკოლამ წარმოადგინა USAID პროგრამის ფარგლებში მასწავლებლების მიერ გავლილი ლიდერი მასწავლებლის ტრენინგკურსების სერტიფიკატები. ასევე მათ მიერ ანგარიშებში იკვეთება კათედრებს შორის აქტიური თანამშრომლობა მასწავლებელთა კარიერული ზრდისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სკოლა ზრუნავს სკოლის ადმინისტრაციის კვალიფიკაციის განვითარებაზე, რომელიც ასახულია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, მაგ. სკოლის ბუღალტერმა 22.02.2023 – 01.03.2023 გაიარა ფინანსთა სამინისტროს მიერ

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამუაშვილი

ა. პოლომუძე

ი. გოგიაშვილი

მ. გოგიაშვილი

ა. მამუაშვილი

ი. აგოშვილი

ქ. ყიფიანი

ი. გოგიაშვილი



დამადასტურებელი დოკუმენტი, სერტიფიკატი სკოლას აქვს წარმოდგენილი.

ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში იკვეთება კათედრებს შორის აქტიური თანამშრომლობა მასწავლებელთა კარიერული ზრდისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ინდიკატორი 3.2.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული და შეესაბამება სტანდარტს.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. აქვს ამის გამოცდილება, თითქმის ყოველწლიურად ხდება ახალი კადრების აყვანა, რომელთა ინტეგრაცია და ადაპტაცია ხდება სასკოლო გარემოსთან და პედაგოგებთან. ყველა ახალდანიშნულ მასწავლებელს აცნობენ სკოლის ინფრასტრუქტურას, სამუშაო გარემოს, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, სკოლის შინაგანაწესს და კათედრებზე ხდება მასწავლებლის ჩართულობა სხვადასხვა მიმართულებებში. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დასტურდება, რომ მათ საშუალება აქვთ იმუშაონ თავიანთი კეთილგანწყობილ გარემოში სადაც მათი ინიციატივები მიღებული და მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. მასწავლებლებისთვის გამოყოფილია თავისუფალი სივრცე და ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და დახურული სპორტული დარბაზი.

ინდიკატორი 3.2.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამოლაძე

ა. პოლომუძე

ი. ჯიშკაძე

მ. ჯიშკაძე

ა. მამოლაძე

ი. აგოშინაძე

ქ. ყიფიძე

გ. მამოლაძე



სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ
ჟახუნდერის საჯარო სკოლაში წახალისებულია პერსონალის

განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლა უწყვეტად ზრუნავს სკოლის პერსონალის განვითარებაზე.

მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ სკოლა ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და შეხვედრებზე. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მასწავლებლებს პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელ და საჭირო ტრენინგ-მოდულებზე, ასევე სკოლის დირექციის მიერ მხარდაჭერილია მასწავლებელთა ინიციატივით დაგეგმილი სხვადასხვა პროფესიული განვითარებისათვის საჭირო აქტივობების განხორციელება, კერძოდ, შიდა კონფერენციები, პროექტები, ურთიერთდასწრებები და კათედრების აქტიური თანამშრომლობა.

მასწავლებლებმა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა ტრენინგებზე, სემინარებზე, კონფერენციებსა და პროექტებზე ჩართულობის დადასტურებად წარმოადგინეს პროექტები, ფოტომასალები, სერთიფიკატები და სიგელები.

ინდიკატორი 3.2.1.5 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კათედრების დებულება დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2/55, 06.09.2023 წელი.
2. დირექტორის 06.09.2023 წლის ბრძანება N2/55 კათედრის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ .
3. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება N2/33.
4. მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.
5. ფოტომასალა.

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამულაძე

ა. პოლომუძე

ი. ზოიძე

მ. ლომიძე

ა. მამულაძე

ი. აგოიძე

ქ. ყიფიანი

ი. ზოიძე



შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამუკაძე

ა. პოლომუი

ი. ჯიშკაძე

მ. ჯიშკაძე

ა. მამუკაძე

ი. აგოშინაძე

ქ. ყიფიანი

გ. მამუკაძე



4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ შახუნდერის საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ამ მიმართულებით სკოლამ დადასტურებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი და სტრუქტურული ერთეულების დებულებები. დირექტორს ბრძანებით დანიშნულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით მკაფიოდაა განსაზღვრული თითოეული პერსონალისა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია/მოვალეობები.

2024-2025 სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიხედვით, სკოლა განახორციელებს მონიტორინგს, რომლის მონაცემებიც გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად.

სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და მათი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. ხარისხის მართვის ჯგუფის მუშაობა განისაზღვრება დებულებით, რომლის მიხედვითაც ხორციელდება პედაგოგთა დაკვირვება, შეფასება და სწავლა/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა.

ა. ზოიძე
ა. ხახუნაშვილი
ნ. შაინიძე
ი. მამუაშვილი
ა. ზოიძე
ი. ზოიძე
მ. ზოიძე
ა. ზოიძე
ი. ზოიძე
ა. ზოიძე
ი. ზოიძე
ა. ზოიძე
ი. ზოიძე



სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუთი და წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა 2024-2025 სასწავლო წლისათვის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაეფუძნოს პროცესულ მიდგომას და განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.1 სრულად არის დაკმაყოფილებული და შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლამ საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული, რაც დასტურდება სკოლის ადმინისტრაციას შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ მტკიცებულებებში, სტრუქტურული ერთეულების დებულებებში გაწერილი ფუნქცია/მოვალეობებით, ასევე ხელშეკრულებებშია მოცემული და კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული ვალდებულებები.

ინტერვიუების დროს დირექციამ, პედაგოგებმა, საქმისმწარმოებელმა, ბუღალტერმა, აღწერეს სკოლაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესი: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება.

ინდიკატორი 3.3.1.2 სრულად არის დაკმაყოფილებული.

ა. ზოიძე
ა. ხახუნდერელი
ნ. შაინიძე
ი. მთაწარი
ა. ზოიძე
ი. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე



3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლას აქვს დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელშიც განსაზღვრულია მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაწყვეტილებების მიერ გასაჩივრების, ასევე საჩივრის განხილვის სისტემა. სკოლას აქვს დისციპლინური კომიტეტიც. აღნიშნული მექანიზმებით სკოლა საჭიროების შემთხვევაში პროცესს წარმართავს ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. თანამშრომლებთან და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც ასახულია გასაჩივრების უფლება.

ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ ძირითადად კლასის დამრიგებლები მშობელთა კრებებზე ახორციელებენ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, როგორც მის უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე, გადაწყვეტილებების გასაჩივრების როგორც შიდა სასკოლო, ასევე სკოლის გარეთ არსებულ მექანიზმებზე.

ინდიკატორი 3.3.1.3 სრულად არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლაში დაცულია და მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალსა და მშობლებს სკოლის მიერ გაცნობილი აქვთ სკოლის შინაგანაწესი სადაც განსაზღვრულია მათი უფლება. სკოლას აქვს განსაზღვრული

ა. ზოიძე
ა. ხახუნდერელი
ნ. შაინიძე
ი. მთაწარი
ა. ზოიძე
ი. ზოიძე
მ. ზოიძე
ა. ზოიძე
ი. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე



წესი სკოლის ტერიტორიაზე გადადგილების შესახებ, უცხო პირთა შემოსვლა რეგულირდება. ტარდება მშობელთა კრებები და მშობელთა ჩართულობისთვის სხვადასხვა აქტივობები. სკოლას აქვს საჩივრების განხილვის მოქნილი სისტემა. არსებობს დისციპლინური კომიტეტი, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო. შესაბამისად ყველა პირის უფლებები მაქსიმალურადაა დაცული. სკოლამ ასევე წარმოადგინა პერსონალური მონაცემების დაცვის დოკუმენტი, რომელშიც უზრუნველყოფილია პერსონალის, მშობლის/კანონიერი უფლებების დაცვა. დოკუმენტში განსაზღვრულია მათი უფლებები, ვალდებულებები. სკოლა იცნობს ამ მიმართულებით განსაზღვრულ პროცედურებს და მუშაობს ამ მიმართულებით.

სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი. დოკუმენტში გაწერილია პერსონალის უსაფრთხოების დაცვის გარანტიებიც.

სკოლას პერსონალთან და მოსწავლის მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში გაწერილი აქვს მათი უფლებები და მოვალეობები, სკოლის ყველა თანამშრომელი, მოსწავლე და მშობლები იცნობენ სკოლის შინაგანაწესს, გასაჩივრების წესს და სხვა რეგულაციებს.

ინდიკატორი 3.3.1.4 სრულად არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით Nგ/38, 11.09. 2024 (დირექციამ ვიზიტის დროს წარმოადგინა)
2. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ბრძანება N2/33.

ა. ზორაძე
ა. ხახუნაშვილი
ნ. შაინიძე
ი. მამულაძე
ა. პაპუაშვილი
ი. აგოშვილი
ა. მამულაძე
ა. მამულაძე
ა. მამულაძე
ა. მამულაძე
ა. მამულაძე
ა. მამულაძე



3. განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N36 10.09.2024 წ.

4. დამრიგებლის დებულება.

5. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.

6. პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი.

7. დირექტორის N2/72 ბრძანება საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ 15.09.2023წ.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

ა. ზოიძე
ა. ხახუნაშვილი
ნ. შაინიძე
ი. მამუკაძე
ა. პოლომუძე
ი. ზოიძე
მ. ლომიძე
ა. მამუკაძე
ი. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე
ა. ზოიძე



2. 2000 3. 2000 4. 2000 5. 2000 6. 2000 7. 2000 8. 2000 9. 2000 10. 2000



2. 2000 3. 2000 4. 2000 5. 2000 6. 2000 7. 2000 8. 2000 9. 2000 10. 2000



2. 1. სოციალურ სივრცეში განთავსებული ინფორმაციის დამადასტურებელი
ფეისბუქის და სხვა პლატფორმების ვებგვერდები, ლინკები

3. სამეურვეო საბჭოს ოქმი;
4. დისციპლინური კომიტეტის ოქმი;
5. მრჩეველთა საბჭოს ოქმი;
6. პედაგოგიური საბჭოს ოქმი,
7. თვითმმართველობის ოქმი;
8. სტრუქტურული ერთეულების დებულებები.
9. მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:

- o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამუკაძე

ა. პალაშვილი

ი. გოგიაშვილი

მ. ლომიძე

ა. შაფერაძე

ი. აგოიძე

ქ. ყიფიანი

ი. ბერიძე

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ა. ხახნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამუაშვილი

ა. პალაშვილი

ი. გოგიაშვილი

მ. გოგიაშვილი

ა. მამუაშვილი

ი. გოგიაშვილი

ქ. ციხეაშვილი

ი. გოგიაშვილი



1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში).

სსიპ ალექსანდრე ონიანის სახელობის ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟახუნდერის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას ყავს დირექტორის ბრძანებით დანიშნული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და ორი დარაჯი - რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს 24 საათის განმავლობაში. სკოლა არის შემოღობილი და მარტივად ვერ ხდება უცხო პირთა გადაადგილება.

სკოლა აქვს შემუშავებული და მტკიცებულებად წარმოდგენილი ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. სკოლას ასევე განსაზღვრული აქვს სართულებს შორის მასწავლებელთა მორიგეობა.

აღნიშნული დოკუმენტებითა და სკოლაში დასაქმებული პერსონალის ფუნქცია - მოვალეობებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა), და

ა. ზორაძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამულაძე

ა. პოლომუძე

ი. გიგინეიძე

მ. კახიძე

ა. მამულაძე

ი. აგოშვილი

ქ. ყიფიანი

გ. მამულაძე



საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას. სკოლაში ორივე სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა. ყველა სართულზე დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, პირველ სართულზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი სრული აღჭურვილობით.

ვიზიტის პერიოდში, გასაუბრების დროს პედაგოგებმა ისაუბრეს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის, მიერ წარმართულ საქმიანობაზე. მათი საუბრიდან გაირკვა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ უსაფრთხოების წესებს, საევაკუაციო გეგმას და საგანგებო სიტუაციებში სწორად რეაგირებაც შეუძლიათ.

სკოლამ მტკიცებულებად წარმოდგინა 28.06.2024 წ. წერილობითი მიმართვა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის შესატანხმლებლად. ასევე შესაბამისი ორგანოდან მიღებული შეთანხმება, რომელიც დადასტურებულია 08.07.2024 წლის დეპარტამენტის უფროსის წერილით. დასახელებული წერილის საფუძველზე საგანგებო უსაფრთხოების მართვის გეგმა შეთანხმებულია, იგივე გეგმაში გაწერილია შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. როგორც ასეთი შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნა ცალკე წარმოდგენილი არ აქვს.

სკოლამ ასევე მტკიცებულებად წარმოდგინა 27.06.2024 წ. მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის, ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესწავლის და შენობის ტექნიკური მდგომარეობის დასკვნის მომზადებისთვის. ვიზიტის დროს შენობის მდგომარეობის დასკვნა ჯერ კიდევ არ ქონდა მიღებული.

რადგანაც სსკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, მაგრამ შესაბამისობის გეგმაში აქვს გაწერილი რომლის მიხედვით ერთი წლის განმავლობაში მოახდენს შესაბამისობაში მოყვანას .

რეკომენდაცია. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ვადების შესაბამისად 27.06.2024 - 27.06.2025 წწ. უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის/უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ა. ზოიძე

ა. ხახუნაშვილი

ნ. შაინიძე

ი. მამულაძე

ა. პოლომუძე

ი. ზოიძე

მ. ლომიძე

ა. შაინიძე

ი. აგოშინაძე

ქ. ყიფიანიძე

გ. ბერიძე



2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

